განკარგულება:**გ-87. 8724038001**
თარიღი:**07/02/2024**

განკარგულება №7

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხორბალოში მდებარე 170280.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.01.39.006.022) საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამტკიცებისა და პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 121-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების, 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს - საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **სოფელ ხორბალოში მდებარე 170280.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი - 50.01.39.006.022).**

2. განისაზღვროს - განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული მიწის ნაკვეთის:

ა) საწყისი საპრივატიზებო საფასური - 460400 (ოთხასსამოციათას ოთხასი) ლარის

ოდენობით;

ბ) „ბე“-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა - საწყისი

საპრივატიზებო საფასურის 30%-ით - 138120 (ასოცდათვრამეტიათასასოცი) ლარის

ოდენობით;

გ) ელექტრონული აუქციონის ბიჯის ოდენობა - საწყისი საპრივატიზებო

საფასურის 10%-ით - 46040 (ორმოცდაექვსიათას ორმოცი) ლარის ოდენობით;

დ) საპრივატიზებო პირობა:

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა პრივატიზებიდან ხუთი წლის განმავლობაში უნდა განახორციელოს არანაკლებ 2 000 000.00 (ორი მილიონი) ლარის ინვესტიცია:

- პირველი ორი წლის განმავლობაში პროექტირება - 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი;

- მე-3-4 წელი: მოსამზადებელი სამუშაოები (ტერიტორიის გასუფთავება, რეკრიაციული სივრცეების მოწყობა - 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი;

- მე-5 წელი: ტურისტული ობიექტების მშენებლობა - 1 000 000(ერთიმილიონი) ლარი.

- ადგილობრივი მოსახლეობისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების მოწყობა, გადამზადება და დასაქმება (მინიმუმ 10-15 ადამიანი).

3. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი